# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 15

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია 2013 წლის 14 ნოემბერს

ერთის მხრივ არასამეწარმეო იურიდიული პირი„საჩხერის კოლაუ ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი" შემდგომში შემსყიდველი, ხოლო მეორეს მხრივ შპს „ფენიქსი"საჩხერე,გამსახურდიას ქ.N3 შემდგომში შემსრულებელი- შორის დაიდო ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების დანაყოფის კოდით 33100000 გათვალისწინებული სამედიცინო მოწყობილობის და ინსტრუმენტების მიწოდება შესაბამისი დოკუმენტაციის თანდართვით (სასაქონლო ზედნადები)
1.2.მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდებულ საქონელზე ფასის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

## 2. მხარეთა უფლება–მოვალეობები

2.შემსრულებელი ვალდებულია:
ა). ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს დროულად და ხარისხიანად. 2013 წლის 15 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე.

## 3. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილები

3.1 ხელშეკრულება შედგება თანაბარი ძალის მქონე შემდეგი დოკუმენტაციისაგან:
ა) წინამდებარე ხელშეკრულება.
ბ) დანართი№1

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 50 ლარს.

## 5.მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
5.2 როცა ხელშეკრულების პირობების შესრულება შეუძლებელია ფორსმაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე ყველა პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემდეგ.

## 6. დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორული) გარემოებები

6.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა დაუძლეველი ძალის გარემოებები, რომლის წარმოშობა არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
6.2. დაუძლეველი ძალის გარემოებებად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის სამხედრო მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ქრთულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
6.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ.
6.4. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
6.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
6.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

6.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

## 7. ხელშეკრულების ბათილობა

7.1 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეიძლება მოიშალოს:

ა) მიმწოდებლის ინიციატივით შემსყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას

ბ) შემსყიდველის ინიციატივით მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულება ბათილია ვადის გასვლის შემდეგ.

## 8. დავის გადაწყვეტა

მხარეთა შორის დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით (რაც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით), შეუთანხმებლობის შემთხვევაში ორივე მხარეს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს.

## 9. გარდამავალი დებულებები

ა) ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

ბ)ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

შემსყიდველი:
არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის ჯურხა ნადირაძის სახელობის
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი"

მისამართი:საჩხერის რ-ნი,სოფ.სხვიტორი
საბანკო რეკვიზიტი:
სს„ლიბერთი ბანკი"
საჩხერის ფილიალი
ანგარიში№115140324249000
საიდენტიფიკაციო№ 239399655

„საჩხერის ჯურხა ნადირაძის
სახელობის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის" დირექტორი: /თ.კაციტაძე/

შემსრულებელი:

შპს „ფენიქსი"

მისამართი:საჩხერე,გომართელის ქ№3
საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"

ანგარიში № GE61BG0000000294754000
საიდენტიფიკაციო № 239403196

შპს„ფენიქსის" დირექტორი: [illegible]

დანართი1

შპს „ფენიქსი"

ხელშეკრულება №15-ით გათვალისწინებული სამედიცინო ხელსაწყოსა და მედიკამენტების ჩამონათვალი 2013 წელი

ფასის ნუსხით

| # | დანაყოფის დასახელება | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება | მთლიანი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 33100000 | შპრიცი | ცალი | 4 | 0.1 | 0.4 |
| 2 | 33100000 | ხელსახოცი ცხვირსახოცი | ცალი | 2 | 0.25 | 0.5 |
| 3 | 33100000 | თერმომეტრი | ცალი | 1 | 1.5 | 1.5 |
| 4 | 33100000 | წნევსაზომი | ცალი | 1 | 24 | 24 |
| 5 | 33100000 | ბინტი სტერილური | ცალი | 2 | 0.75 | 1.5 |
| 6 | 33100000 | ბამბა | ცალი | 1 | 0.4 | 0.4 |
| 7 | 33100000 | ციტრამონი | ცალი | 4 | 0.25 | 1 |
| 8 | 33100000 | კეტანოვი | ცალი | 2 | 1.4 | 2.8 |
| 9 | 33100000 | ნოშპა | ცალი | 1 | 5.5 | 5.5 |
| 10 | 33100000 | იოდი | ცალი | 1 | 0.5 | 0.5 |
| 11 | 33100000 | ენაპ H | ცალი | 1 | 1.9 | 1.9 |
| 12 | 33100000 | ვალიდოლი | ცალი | 2 | 0.35 | 0.7 |
| 13 | 33100000 | სტრეპტოციდი | ცალი | 1 | 1 | 1 |
| 14 | 33100000 | ბრილიანტის მწვანე | ცალი | 1 | 0.35 | 0.35 |
| 15 | 33100000 | ტიოფოლის ნაი | ცალი | 3 | 0.75 | 2.25 |
| 16 | 33100000 | ჰიგიენური პაკეტი | ცალი | 1 | 2.7 | 2.7 |
| 17 | 33100000 | კორვალოლი | ცალი | 2 | 1.5 | 3 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ | | | | | |

სსიპ „ახმეტის ჯურხა ნადირაძის სახელობის ... თვითმმართველობის მერიის

"დირექტორი / თ.კაციტაძე /

შპს „ფენიქსის" დირექტორი:

239399655

# საგადასახადო დავალება № ------

*2013 წლის 19 ნოემბერი*

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: აიპ „საჩხერის ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი" | **თანხა** |
| ანგარიში (დებეტი) 115140324249000 | 50-00 |
| გადამხდელის ბანკი: სს „ლიბერთი ბანკის"" საჩხერის ფილიალი ბანკის კოდი 220101467 | თანხა სიტყვიერად ორმოცდაათი ლარი |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება : აიპ „საჩხერის ჯურხა ნადირაძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი" | |
| გადასახადის გადამხდელის შემოსულობების საიდენტიფიკაციო ნომერი 239399655 ბიუჯეტის სახაზინო კოდი | ბანკის აღნიშვნები : ბანკის შემოსავლის თარიღი------------ |
| მიმღების დასახელება :შპს „ ფენიქსი 239403196 GE61BG0000000294754000 | |
| მიმღები ბანკი : სს „საქართველოს ბანკი" BAGAGE22 ბანკის კოდი | ხელმოწერა: |
| გადახდის დანიშნულება: ირიცხება სამედიცინო საქონლისა და მედიკამენტის ღირებულება | |
| დამატებითი ინფორმაცია : | |

ხელმოწერები:

ბ.ა